Research

ტურიზმის ყოველთვიური განახლება

აგვისტო 2020

- საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი აგვისტოში, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შემცირდა 96,4%-ით, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 96%-ით შემცირდა, ხოლო საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა - 95,4%-ით.
- 2020 წლის პირველ 8 თვეში, მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 483 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 78%-ით ნაკლებია 2019 წლის პირველ 8 თვესთან შედარებით.
- 2020 წლის II კვარტალში, 2019 წლის II კვარტალთან შედარებით, განთავსების საშუალებების ბრუნვა შემცირდა 66%-ით, ხოლო კვების ობიექტების ბრუნვა შემცირდა 37% -ით.
- 2020 წლის აგვისტოში, 2019 წლის აგვისტოსთან შედარებით, სასტუმროების წლიური ფასების ინდექსი 32.1%-ით შემცირდა გურიაში, ხოლო 21.7%-ით აჭარაში.
- 2020 წლის აგვისტოში, 2019 წლის აგვისტოსთან შედარებით, გურიაში სასტუმროების საშუალო ფასი 58%-ით შემცირდა, ხოლო 3 ვარსკვლავიანი სასტუმროების - 35%-ით.
- 2020 წლის აგვისტოში, 2019 წლის აგვისტოსთან შედარებით, 4 ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი 38%-ით შემცირდა, ხოლო 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი 25%-ით შემცირდა. საოჯახო სასტუმროებისა და 3 ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასებში შედარებით ნაკლები კლება დაფიქსირდა.

სასტუმროს ფასების აგვისტოს დინამიკა გურიასა და აჭარაში

ივლისის განახლებაში, წარმოგიდგენით საქართველოში განთავსების საშუალებების ფასების მიმოხილვა, ხოლო აგვისტოს განახლებაში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ აჭარასა და გურიაზე, რომლებიც საქართველოს მნიშვნელოვან ზღვისპირა მიმართულებებს წარმოადგენენ და დიდი ალბათობით, აგვისტოში ყველაზე მეტად მონახულებული რეგიონებიც არიან. იმის გამონ რომ რეგულარული ფრენები კვლავ ნაწილობრივ შეზღუდულია, აგვისტოში საქართველომ მხოლოდ 34 567 უცხოელ ტურისტს უმასპინძლა. მიუხედავად იმისა, რომ შიდა ტურიზმი არ არის საკმარისი უცხოელი ტურისტების დიდი დანაკლისის ასანაზღაურებლად, იმის გათვალისწინებით, რომ ის ქართველები, რომლებიც აპირებდნენ ზაფხულის საზღვარგარეთ გატარებას დაისვენებენ საქართველოს კურორტებზე, სავარაუდო ტურისტების რიცხვი მაინც მნიშვნელოვანია. ჩვენი შეფასებით, აჭარაში ადგილობრივი ვიზიტორების რაოდენობა მესამე კვარტალში დაახლოებით წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის 40-55%-ს გაუტოლდება. ამრიგად, ზღვისპირა სასტუმროები პანდემიის პირობებშიც კი საკმაო მოთხოვნას განიცდიან. იმის გამო, რომ ქართველებს აქვთ ნაკლები მსყიდველობითი უნარი ვიდრე უცხოელებს, და რადგან ვიზიტორების რაოდენობა სრულად არ დაკომპენსირდება ადგილობრივი ტურისტების მიერ, სასტუმროებს უწევთ შიდა ვიზიტორების მოსაზიდად ფასების შემცირება.



სასტუმროს წლიური ფასების ინდექსის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასტუმროების ფასები ყველაზე მეტად გურიაში (-32,1%) და აჭარაში (-21.7%) შემცირდა, რასაც მოსდევს სამცხე-ჯავახეთი (-20,1%), რაჭა (-12,5%) და მცხეთა-მთიანეთი (-12,2%). წლიდან წლამდე კლება ფასებში კიდევ უფრო გამოხატულია 3, 4 და 5–ვარსკვლავიანი სასტუმროებისთვის, საოჯახო სასტუმროების ფასების შემცირებასთან შედარებით: გურიაში 3, 4 და 5 – ვარსკვლავიან სასტუმროებზე ფასები შემცირდა 39,4%–ით, ხოლო ასეთი ტიპის სასტუმროებმა სამცხე-ჯავახეთში და აჭარაში ფასები 30.1%-ითა და 28%-ით შეამცირეს.

სასტუმროების წლიური ფასების ინდექსის გარდა, გავაანალიზეთ ამ ორ რეგიონში განთავსებული სასტუმროების საშუალო ფასები 2020, 2019 და 2018 წლის აგვისტოში. გურიაში საოჯახო სასტუმროებისა და 3 ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები 2019 წელს 2018 წელთან შედარებით გაიზარდა 17%-ით და 23%-ით. 2020 წლის აგვისტოში, ორივე ტიპის საცხოვრებლის საშუალო ფასმა 2019 წელთან შედარებით დიდი ვარდნა განიცადა: საოჯახო სასტუმროების საშუალო ფასი 161 ლარიდან 67 ლარამდე შემცირდა (-58%), ხოლო 3 ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი 185-დან 120-მდე (-35%).



აჭარაში, ბოლო 2 წლის განმავლობაში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროებისა და საოჯახო სასტუმროების საშუალო ფასები იკლებდა. საოჯახო სასტუმროების საშუალო ფასი 2019 წლის აგვისტოს 11%-ით შემცირდა 2018-თთან შედარებით, ხოლო 2020 წელს 2%-ით 2019-თან შედარებით. რაც შეეხება 3 ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასს, ის 10%-ით შემცირდა 2019 წელს 2018 წელთან შედარებით, ხოლო 20 პროცენტით 2020 წელს 2019 წელთან შედარებით.

აჭარაში 4 და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასებში კი საკმაოდ განსხვავებული სურათია. ორივე კატეგორიის საშუალო ფასი 2019 წლის აგვისტოში გაიზარდა, 2018 წლის აგვისტოსთან შედარებით, შესაბამისად 8%-ითა და 17%-ით. ასევე, ორივემ დიდი ვარდნა განიცადა 2020 წლის აგვისტოში, 2019 წლის აგვისტოსთან შედარებით. 4 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასები უფრო მეტად შემცირდა 2020 წელს 2019 წელთან შედარებით (საშუალოდ 38%-ით), ხოლო 5 ვარსკვლავიან სასტუმროების ფასები საშუალოდ 25%-ით შემცირდა.

აგვისტოში, საქართველოს ზღვისპირა სასტუმროებმა აირჩიეს ფასების შემცირების სტრატეგია, რათა შეენარჩუნებინათ თავიანთი ობიექტების დატვირთულობა და არ შეეჩერებინათ საქმიანობა. გამოიღებს თუ არა შედეგს ეს სტრატეგია დიდწილად დამოკიდებულია პანდემიის მომავალზე.

1 https://www.interpressnews.ge/ka/article/617524-giorgi-kakaurize-8-tvis-monacemebit-turizmidan-migebuli-shemosavlebi-78-it-aris-shemcirebuli-rac-daaxloebit-18-miliard-dolarian-klebas-nishnavs/

2 მცირე მერჩევის ზღვის გამო, გურიაში 4 და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროები გამორიცხულია ამ კონკრეტული ანალიზისას

სასტუმროს ფასების ინდექსი

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2020 აგვ/ 2020 ივლ	2020 აგვ/ 2019 აგვ	2020 აგვ/ 2020 ივლ	2020 აგვ/ 2019 აგვ	2020 აგვ/ 2020 ივლ	2020 აგვ/ 2019 აგვ
კახეთი	-1.2%	5.4%	-1.5%	2.3%	-1.1%	6.0%
იმერეთი	-0.1%	6.4%	-0.4%	7.7%	0.1%	5.5%
გურია	-3.0%	-32.1%	5.5%	-39.4%	-18.1%	-26.0%
ქვემო ქართლი	0.0%	-0.9%	0.0%	-3.7%	0.0%	-0.3%
აჭარა	1.4%	-21.7%	-1.8%	-28.0%	7.4%	-9.0%
რაჭა	1.3%	-12.5%	9.6%		0.0%	-12.5%
შიდა ქართლი	2.8%	13.5%	0.0%	2.2%	4.6%	40.0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1.9%	-8.3%	1.5%	-1.3%	2.1%	-9.6%
სამცხე-ჯავახეთი	4.4%	-20.1%	1.7%	-30.1%	6.5%	-12.8%
მცხეთა-მთიანეთი	-2.9%	-12.2%	2.0%	-10.0%	-6.1%	-12.8%
თბილისი	1.0%	-0.7%	1.4%	-0.9%	-7.0%	1.4%
სულ ფასების % ცვლილება	0.9%	-7.7%	0.5%	-10.3%	-1.9%	-2.8%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2020 წლის აგვისტოში, 2020 წლის ივლისის ფასებთან შედარებით და 2019 წლის აგვისტოს ფასებთან შედარებით.

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2020 წლის აგვისტოში, 2020 წლის ივლისთან შედარებით, 0.9%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი გაიზარდა 0.5%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები შემცირდა 1.9%-ით.

2020 წლის აგვისტოში, 2019 წლის აგვისტოსთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 7.7%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 10.3%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2.8%-ით

სასტუმროს საშუალო ფასები

2020 წლის აგვისტოში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **128 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **229 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა აგვისტოში **74 ლარი** შეადგინა.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა აგვისტოში **367 ლარი** შეადგინა. გურიაში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 776 ლარი შეადგინა, თბილისში - 426 ლარი, კახეთში - 360 ლარი, ხოლო აჭარაში 346 ლარი.

საბაზისო ეკონომიკური ინდიკატორები

	II 2018	III 2018	IV 2018	2018	I 2019	II 2019	III 2019	IV 2019	2019	I 2020	II 2020
1	433.3	534.5	468.6	1800	426	498.5	605.7	541.9	2072.1	451.9	-
2	1979.6	3226.4	1891.1	8679.5	1617.5	2244.8	3375.1	2120.4	9357.9	1333.1	114.2
3	1094.2	1838.3	984.7	4756.8	882.1	1245	1863.6	1089.7	5080.5	765.3	82.3
4	810	1210.6	650.8	3222.1	578.4	877.6	1126.8	685.8	3268.7	427.7	28.8
5	126.4	149.9	142.4	524.7	131.3	167.9	181.6	176.2	657.2	124.1	–
6	-8.2	44.9	15.7	77.8	66.2*	28.8*	45.7*	16.4*	157.5*	15.8*	–

1 მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)

3 ტურისტების რაოდენობა (ათასი)

4 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)

5 ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცი--რე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი. **3** სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.